საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

# საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია

**დამტკიცებულია**
რექტორის 2020 წლის 20 თებერვლის №105 ბრძანებით

თბილისი
2020

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ (შემდგომში - სეუ) სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას მიჰყვება წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შემდეგ **ხუთ არსებით ელემენტს:**

1. **ადამიანები**

სეუ არის ინკლუზიური სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას. ამ მიზნით, ზემოაღნიშნულ პროცესში ჩართულია წარმომადგენლობითი სტრატეგიული განვითარების კომიტეტი. ამასთან, ტარდება ფართო კონსულტაციები მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ: ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

2. **მონაცემები**

სეუ უზრუნველყოს, რომ სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა ეფუძნებოდეს მყარ მტკიცებულებებს. ამისათვის გადამწყვეტია საიმედო მონაცემები. გადაწყვეტილებების მიღებაში სეუ იყენებს შიდა და გარე მონაცემებს. გარდა ამისა, შემუშავების პროცესში გამოიყენება შემდგომი რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზები, კერძოდ, SWOT ანალიზები, რომლებიც ხორციელდება დაწესებულების სხვადასხვა დონეზე.

3. **მომზადება**

სეუ უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართული ადამიანები იყვნენ კომპეტენტურნი და ადეკვატურად მომზადებულნი შესაბამისი დავალების შესასრულებლად. შემუშავების პროცესი ემყარება კვალიფიციურ და ნათელ ინსტრუქციებს.

4. **სტრუქტურა**

სეუ, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას ახორციელებს სტრუქტურირებულ და ეფექტიან პროცესს, რაც გულისხმობს რეგულარულ და თანმიმდევრულ აქტივობებს: გონებრივი იერიში, მცირე ჯგუფებში მუშაობა,

ჩამონათვალის მომზადება, შეჯამება, პრიორიტეტებისა და საჭირო პასუხისმგებლობების განსაზღვრა და ა.შ. დაგეგმვის პროცესს ჰყავს ერთი მთავარი კოორდინატორი. ეს კოორდინატორი, ასევე, მოქმედებს როგორც ფასილიტატორი, რომელიც პასუხისმგებელია პროცესის მსვლელობასა და ყველა ნაბიჯის დროული შესრულების უზრუნველყოფაზე.

5. **რესურსები**

სეუ იღწვის გამოიყენოს ყველა საჭირო რესურსი, რათა უზრუნველყოს დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობა და ეფექტურობა, ასევე, გონივრული დრო დაგეგმვის პროცესში ჩართული პერსონალისათვის და სხვ.

ზემოთ აღნიშნული ხუთი ძირითადი ელემენტის საფუძველზე და შესაბამისი თანმიმდევრული პროცესის მიხედვით, სეუ შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**საფეხური 1: სტრატეგიული განვითარების კომიტეტის შექმნა**

- რექტორი, სტრატეგიული განვითარების მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს სტრატეგიული განვითარების კომიტეტის არაუმეტეს 10 წევრს;
- რექტორი ასევე ნიშნავს კოორდინატორს;
- სტრატეგიული განვითარების მენეჯერის წინადადების საფუძველზე რექტორი ადგენს დავალების პირობებს და პროცესის ვადებს.

**საფეხური 2: შესაძლებლობების განვითარება**

სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ორგანიზებას უწევს რამდენიმე ტრენინგს სტრატეგიული განვითარების კომიტეტის წევრებისთვის, რაც მიზნად ისახავს სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის პროცესების უკეთ გააზრებას.

**საფეხური 3: წინა სტრატეგიული განვითარების გეგმის განხილვა**

სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ამზადებს წინა სტრატეგიული განვითარების გეგმის მიღწევების მიმოხილვას. ამასთან, უზრუნველყოფილია მონაცემები, რომლებიც

გამოსადეგია სტრატეგიული განვითარების კომიტეტის მუშაობისათვის. მომზადებულ ინფორმაციას იყენებს სტრატეგიული განვითარების კომიტეტი. ამის შემდეგ სტრატეგიული განვითარების კომიტეტი:

- მიმოიხილავს წინა მისიას;
- მიმოიხილავს წინა სტრატეგიული განვითარების გეგმას;
- ადგენს ინსტიტუციურ SWOT ანალიზს და კოორდინაციას უწევს სტრუქტურული ერთეულების დონეზე მის გაანალიზებას.

თუ საჭირო გახდა დამატებითი მონაცემები, სტრატეგიული განვითარების მენეჯერი კოორდინაციას უწევს მონაცემთა შეგროვებას და გადასცემს მათ სტრატეგიული განვითარების კომიტეტს.

**საფეხური 4: მისიის პროექტის შემუშავება**

სტრატეგიული განვითარების კომიტეტი ამზადებს გადახედილი მისიის პირველ პროექტს.

**საფეხური 5: კონსულტაციები მისიის პროექტის თაობაზე**

სტრატეგიული განვითარების კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს მისიის პროექტის შესახებ კონსულტაციების ჩატარების პროცესზე.

კონსულტაციები ტარდება **ორ ეტაპად:**

- ჯერ იწყება შიდა კონსულტაციების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს სტრატეგიული განვითარების კომიტეტის მიერ დადგენილი მექანიზმის შესაბამისად. შიდა დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ თავიანთ უკუკავშირს. ეს უკუკავშირი ანალიზდება და შემდეგ სტრატეგიული განვითარების კომიტეტის მიერ ხდება მათი ინტეგრირება მისიის მეორე პროექტში.
- შემდეგ, მისიის მეორე პროექტის საფუძველზე, სტრატეგიული განვითარების კომიტეტის მიერ, დადგენილი მექანიზმის შესაბამისად, იწყება გარე კონსულტაციების პროცესი. გარე დაინტერესებულ მხარეებს მოეთხოვებათ თავიანთი უკუკავშირის წარმოდგენა. ეს უკუკავშირი ანალიზდება და შემდეგ

სტრატეგიული განვითარების კომიტეტის მიერ ხდება მათი ინტეგრირება მისიის საბოლოო პროექტში.

**საფეხური 6: სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შემუშავება**

სტრატეგიული განვითარების კომიტეტი ამზადებს სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ პროექტს.

**საფეხური 7: კონსულტაციები სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის თაობაზე**

სტრატეგიული განვითარების კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შესახებ კონსულტაციების ჩატარების პროცესზე. სტრატეგიული განვითარების კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარების მექანიზმზეც და იწყება კონსულტაციების მიღების პირველი პროცესი. დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ თავიანთ უკუკავშირს. ეს უკუკავშირი ანალიზდება და შემდეგ სტრატეგიული განვითარების კომიტეტის მიერ ხდება მათი ინტეგრირება სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო პროექტში.

შემდეგ, მისიის პროექტის შემუშავების მსგავსად, სტრატეგიული განვითარების კომიტეტის მიერ დადგენილი მექანიზმის შესაბამისად, იწყება გარე კონსულტაციების პროცესი. გარე დაინტერესებულ მხარეებს მოეთხოვებათ თავიანთი უკუკავშირის წარმოდგენა. ეს გამოხმაურება ინტეგრირდება სტრატეგიის საბოლოო პროექტში.

**საფეხური 8: მისიისა და სტრატეგიის დამტკიცება**

მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა წარედგინება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს კომპეტენტურ ორგანოს - აკადემიურ საბჭოს. ეს ორგანო ამტკიცებს მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**საფეხური 9: სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება**

დამტკიცებული მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე, სტრატეგიული განვითარების მენეჯერი, სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან

ერთად ამზადებს სამწლიან სამოქმედო გეგმას. სამწლიანი სამოქმედო გეგმა ასევე წარედგინება სეუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

**საფეხური 10: მონიტორინგი**

სტრატეგიული განვითარების მენეჯერი პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგზე. იგი მოიპოვებს ინფორმაციას ინსტიტუციური თვითშეფასების პროცესისა და უშუალოდ დეპარტამენტების/სამსახურების და ფაკულტეტებისგან. იგი ამზადებს ყოველწლიურ მოხსენებას სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.